საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11295/01
01/11/2021

11295-01-2-202111011538

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 10 სექტემბერს წარმოდგენილი N16304 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (6 250 000 m^3 25 წელიწადში, სამეწარმეო მიზნით) მოპოვებას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N16-01212921439 წერილის თანახმად, ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მიმდებარე ტერიტორიაზე (დაზუსტებული X/Y კოორდინატები: 500674.0677 - 4614877.3093; 500645.4788 – 4614885.7426; 500639.6522 – 4614856.9636; 500629.3897 – 4614866.6537; 500603.3103 – 4614844.7565; 500596.7376 – 4614862.4188; 500569.2973 – 4614871.8717; 500649.3872 – 4614874.5810; 500628.4438 – 4614872.6322) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული გრაფიკული რუკით (დანართი 1) ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების **თანახმად, რზ-1 წარმოადგენს სარეკრეაციო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა მსგავსი, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა; რზ-1-ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკებისა. ასევე, დასაშვებია ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა.** შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენას.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს სკრინინგის გადაწყვეტილება.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე